ეთიკის კომისიის
ზეპირი

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 03.06.2013
შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 007/13

შეკითხვა:

ადვოკატი ავრცელებს ყალბ ინფორმაციას კონკრეტული ადვოკატების მიერ ფულის გამოძალვასთან დაკავშირებით. მან იცის, რომ ეს ინფორმაცია ცრუა, თუმცა, აღნიშნულ ქმედებას ადასტურებს როგორც საჯარო ბრიფინიგის მეშვეობით, ისე სასამართლო სხდომაზე. დასაშვებია თუ არა საჩივრის შემოტანა ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიაში აღნიშნულ ქმედებასთან დაკავშირებით? არსებობს თუ არა ადვოკატის მიერ კოლეგიალობის პრინციპის დარღვევასთან დაკავშირებით საჩივრით მომართვის პრაქტიკა და რა შედეგი შეიძლება დადგეს?

ანალიზი:

„ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-6 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი: „დისციპლინური წარმოების დაწყების საფუძველია: ადვოკატის საჩივარი სხვა ადვოკატის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თაობაზე.“

იმ შემთხვევაში, თუ ადვოკატი ფიქრობს, რომ კოლეგის ქმედებით ირღვევა მისი უფლებები, მას შეუძლია საჩივრით მიმართოს სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიას. დისციპლინური წარმოების დაწყების ერთ-ერთი საფუძველი „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-6 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით არის ადვოკატის საჩივარი სხვა ადვოკატის მიერ დისციპლინური გადაცდომის შესაძლო ჩადენის თაობაზე. ეთიკის კომისიის პრაქტიკაში ფიქსირდება შემთხვევები, როდესაც კოლეგიალობის პრინციპის დარღვევის ფაქტზე ადვოკატმა საჩივრით მომართა კომისიას სხვა ადვოკატის წინააღმდეგ.

ეთიკის კომისიაში დისციპლინური სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობისა და მხარეთა თანასწორობის პრინციპების დაცვით. ეთიკის კომისიის რეკომენდაცია არ არის სავალდებულო სახის, შესაბამისად, რეკომენდაციათა პროექტის იურისტი სავალდებულოდ ვერ განსაზღვრავს საჩივრის შემოტანის შემთხვევაში სამართალწარმოების შესაძლო შედეგს.

კონკრეტულ შემთხვევაში საქმის განმხილველი კოლეგია მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეში არსებული მტკიცებულებებისა და ახსნა-განმარტებების საფუძველზე. საჩივრის შემოტანის შემთხვევაში შესაძლოა დადგეს ადვოკატის დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხი. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით ადვოკატის დისციპლინური სახდელის სახეებია გაფრთხილება, საადვოკატო საქმიანობის უფლების ჩამორთმევა 6 თვიდან 3 წლამდე და ადვოკატთა ასოციაციის წევრობის შეწყვეტა, ხოლო ამავე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით ადვოკატზე დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიებებია კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის, აღმასრულებელი საბჭოს, ეთიკის კომისიის, სარევიზიო კომისიის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტა.

დასკვნა:

თუ ადვოკატი ავრცელებს ყალბ ინფორმაციას კონკრეტული ადვოკატების მიერ ფულის გამოძალვასთან დაკავშირებით და მან იცის, რომ ეს ინფორმაცია ცრუა, ადვოკატს შეუძლია მომართოს საჩივრით ეთიკის კომისიას. ეთიკის კომისიაში არსებობს კოლეგიალობის პრინციპთან დაკავშირებულ საქმეთა პრაქტიკა. დისციპლინური სამართალწარმოების შედეგად შესაძლოა დადგეს საჩივრის ავტორისათვის სასურველი შედეგი, თუმცა, კონკრეტულ შემთხვევაში საქმის განმხილველი კოლეგია მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეში არსებული მტკიცებულებებისა და ახსნა-განმარტებების საფუძველზე.

ეთიკის კომისიის მიერ გაცემული რეკომენდაცია არის მხოლოდ სარეკომენდაციო მოსაზრება და არ არის სავალდებულო ეთიკის კომისიის ან სასამართლოს მიერ რომელიმე დისციპლინური საქმის განხილვისას.